ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 42

"2" მარტი 2015 წ.

ქ. თბილისი

2011 წლის 7 ნოემბრის ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს N9-59-22-3291 გადაწყვეტილებით გათვალისწინებული წლიური სარგებლობის საფასურის (ქირის) გადაუხდელობისათვის დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან როზა რეხვიაშვილის გათავისუფლებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 75-ე მუხლის „დ.ვ"ქვეპუნქტის, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2015 წლის 18 თებერვლის N07.21.172 განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. თანხმობა მიეცეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2011 წლის 7 ნოემბრის N9-59-22-3291 გადაწყვეტილებით გათვალისწინებული სარგებლობის საფასურის (ქირის) გადაუხდელობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან როზა რეხვიაშვილის გათავისუფლებაზე, იმ პირობით, თუ სასამართლოში შედგება მორიგების აქტი, რომლითაც როზა რეხვიაშვილი უზრუნველყოფს საიჯარო ქირის დავალიანების 2 წლის განმავლობაში გადახდას.

2. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება, კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაცნობის დღიდან, ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, N6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი